საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4936/01
18/05/2021

4936-01-2-202105181814

შპს „სტორი ენერჯის"
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი,
ანდრია აფაქიძის 11, მე-4 სართული
ელექტრონული ფოსტა: GurGabe@gmail.com

ასლი: შპს „სტორს"
ელექტრონული ფოსტა: giorgianuashvili@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 21 აპრილის N7177 განცხადება, რომელიც ეხება მდ. სტორზე 11.9 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის („სტორი 2 ჰესი") მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

სტორი 2 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშთან ერთად სამინისტროში წარმოდგენილია, ასევე სტორი-1 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (სტორი 1 ჰესის სადაწნეო აუზში ეშმაკის ღელეს წყლის დამატა) სკოპინგის ანგარიში. შპს „სტორის" ჰიდროელექტროსადგურის „სტორი 1 ჰესი" მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2018 წლის 7 მაისს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-316).

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო სტორი-2 ჰესისთვის წყლის მიწოდება, მდ. სვიანისხევის გარდა, ძირითადად გათვალისწინებულია „სტორი-1" ჰესიდან. კერძოდ წყლის აღება მოხდება პირდაპირ სტორი-1 ჰესის გამყვანი არხიდან. აღნიშნულის შესაბამისად, საპროექტო სტორი-2 ჰესი ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული იქნება სტორი-1 ჰესთან. **ვინიდან, სტორი-2 ჰესის ფუნქციონირება ძირითადად დაკავშირებული იქნება სტორი-1 ჰესის მიერ გამოშვებული წყლის რაოდენობაზე, დაზუსტებას საჭიროებს სტორი-1 (შპს „სტორი") და სტორი-2 (შპს „სტორი ენერჯი") ჰესებს შორის ურთიერთშეთანხმების შესახებ ინფორმაცია (შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი).** ამასთან, აღსანიშნავია რომ - როგორც სტორი-1 ჰესის ცვლილების, ისე სტორი-2 ჰესის პროექტების განხორციელების ფარგლებში მშენებლობა

წარიმართება სტორი-1 ჰესის სამშენებლო ბანაკიდან და გამოყენებული იქნება საერთო დამხმარე ინფრასტრუქტურა.

დამატებით გაცნობებთ, რომ პროექტებს შორის ტექნიკური და ფუნქციური ურთიერთკავშირის, ასევე ორივე პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით და გარემოზე სრულფასოვნი ზემოქმედების შეფასების მიზნით სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია (შპს ,,სტორის" და შპს ,,სტორი ენერჯის" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე) წარმოდგენილ იქნეს ერთიანი სკოპინგის ანგარიში სტორი-1 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ, სადაც განხილული იქნება, როგორც სტორი-1 ჰესის ცვლილების, ისე საპროექტო სტორი-2 ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციის საკითხები და შესაბამისი საპროექტო ინფორმაცია ტექნიკური, გარემოსდაცვითი კუთხით. **ამასთან, <u>მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში შესაბამის სკოპინგის ანგარიშებში წარმოდგენილი იქნეს სათანადო დასაბუთება.</u>**

წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ასევე:

- მილსადენის დერეფანში დაგეგმილი გვირაბების ბურღვა-აფეთქებითი მეთოდის გამოყენებით, ბიომრავალფეროვნებაზე და გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების საკითხი;
- გვირაბების გაყვანის დროს წარმოქმნილი ნაჟური წყლების მართვის საკითხები;
- მდინარე სვიანასხევში სავალდებულოდ დასატოვი ეკოლოგიური ხარჯის სიმცირის (0,09 $მ^3$/წმ) გათვალისწინებით მიზანშეწონილია სკოპინგის ეტაპზე მოცემული იყოს შესაბამისი შეფასება მდინარეში დარჩენილი წყლის საკმარისობის შესახებ.

მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, წერილში აღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე